



განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

11 თებერვალი, 2020 წელი

განცხადება

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) ეხმაურება პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას მიმართ, უზენაესი სასამართლოს მიერ, 10 თებერვალს გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს.

მმართველ პარტიასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის ფონზე, რომლის მიზანსაც კონსენსუსის გზით, საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით შეთანხმებას წარმოადგენდა, სამწუხაროდ, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ზემოხსენებული მოლაპარაკებების პროცესი ჩიხში შეიყვანა და გააჩინა პასუხგაუცემელი კითხვები როგორც პროცესის მიმართ, ასევე დროსთან დაკავშირებით.

არსებული დაძაბული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, საზოგადოების, სტრატეგიული პარტნიორებისა და ჩართული მხარეების მოწოდებების კვალდაკვალ, პროცესის კონკრეტული შედეგებით დასრულების ნაცვლად გაიზარდა პოლიტიკური პოლარიზაცია.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს პოლიტიკური დიალოგის, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საარჩევნო კოდექსის რეფორმის გაგრძელების შესაძლებლობა და რესურსი, რაც წარმოადგენს 2020 წელს თავისუფალი, სამართლიანი, სანდო და ლეგიტიმური არჩევნების ჩატარების მნიშვნელოვან წინაპირობას.

Statement

Center for Development and Democracy (CDD) responds to the Supreme Court of Georgia's judgement conviction on one of the leaders of the political party "European Georgia" Gigi Ugulava on February 10th, 2020.

Ongoing political dialogue between the ruling party and the opposition, aimed to reach a consensus on the electoral system and improvement of the election environment, unfortunately has been disturbed by this decision and raised number of questions around the timing and the process in a wider society.

Considering the tensed political environment in Georgia, instead of finalizing the process of dialogue with tangible results based on the recommendations and expectations of the stakeholders, strategic partners and general public, increase of political polarization has been observed.

We sincerely hope that there is still a room and resources for political dialogue in order to improve the election environment and perform election code reform, which will be an important precondition for conducting legitimate, free and fair Parliamentary Elections in Georgia in 2020.